კომუნიკაციების კომისია

# გადაწყვეტილება

N გ-24-17/494
24/10/2024

494-გ-24-1-4-202410241540

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის №58 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომუნიკაციების კომისია") განიხილა კომისიის 2024 წლის 24 ოქტომბრის №58 ხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" $12^1$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. კომუნიკაციების კომისიის 2024 წლის 24 ოქტომბრის №58 სხდომის დღის წესრიგში დამატებით შეტანილ იქნეს 3 საკითხი:
   ა) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის არაავტორიზებადი საქმიანობისთვის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ (მომხს. მაია ქადეიშვილი - იურიდიული დეპარტამენტი, ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფი);
   ბ) შპს „ნეო-ნეტი 2024"-ის მიერ ავტორიზაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის თაობაზე (მომხს. მაია ქადეიშვილი - იურიდიული დეპარტამენტი, ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფი);
   გ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F97 და №F113 ლიცენზიების მოდიფიცირებისა და კომისიის 2015 წლის 29 იანვრის №56/1 და 2024 წლის 21 ოქტომბრის №გ-24-1/466 გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე (მომხს. მაია ქადეიშვილი - იურიდიული დეპარტამენტი, ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფი);
2. დამტკიცდეს კომუნიკაციების კომისიის 2024 წლის 24 ოქტომბრის №58 სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის);
3. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
4. დაევალოს კომუნიკაციების კომისიის ადმინისტრაციას (ო.ვოტ) კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ქეთევან წამებულის გამზ.
ბოჭორმის ქ. 50/18, თბილისი, 0144
+995 32 292 16 67
+995 32 292 16 25
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ეკატერინე იმედაძე

წევრი